მემორანდუმი

ქთბილისი 2010 წ.

წინამდებარე მემორანდუმი დადებულია ერთის მხრივ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"სა და მეორეს მხრივ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის.

მემორანდუმის მიზანია:

ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესების გზების ერთობლივად დასახვა, კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მომზადებითა და დასაქმებით, აგრეთვე პრობლემური ტექნიკური საკითხების გაზიარება და გადაჭრა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ტექნიკური უნივერსიტეტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის წარმართვისას და პროგრამების შედგენისას შეეცდება მოამზადოს იმ დარგის, პროფილის და კვალიფიკაციის სპეციალისტები (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ის საჭიროებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ის მოთხოვნათა შესაბამისად მოამზადებს სპეციალისტებს და მიაწვდის წყლის საწარმოებს კურსდამთავრებულთა სიას, მათ მონაცემებს, დახასიათებას და ინფორმაციას აკადემიური მოსწრებისა და გამოყენების სფეროს შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაამუშავებს და ჩაატარებს ურთიერთშეთანხმებული პრობლემური ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო თეორიულ, ექსპერიმენტალურ და საკონსულტაციო სამუშაოებს, შესრულების ვადებისა და ანაზღაურების ფორმების შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორგანიზაციას გაუწევს ტრეინინგებს კომპანიის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ამასთან მოიზიდავს საწარმოს წამყვან სპეციალისტებს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

2. კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ი

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ი ნებას დართავს და ხელს შეუწყობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს გაიარონ საწარმოო პრაქტიკა კომპანიის კუთვნილ სისტემებში და ნაგებობებზე.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ი შესაძლებლობის ფარგლებში შესთავაზებს სამუშაოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთა ცოდნა და უნარ-ჩვევები შეესაბამება კომპანიის მოთხოვნებს.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ი საჭიროების შემთვევებში, შესთავაზებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პრობლემური ტექნიკური საკითხების დამუშავებას (ურთიერთშეთანხმებული ანაზღაურების ფორმით) და ამასთან უზრუნველყოფს მათ, სათანადო ინფორმაციებით.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ი გაუწევს ტექნიკურ დახმარებას უმაღლეს სასწავლებელს სასწავლო ლაბორატორიების თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობებით აღჭურვაში, ან დაეხმარება სპეციალისტების ჩამოყალიბებას თავისი ლაბორატორიებით და სახელოსნოებით.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ი პერიოდულად გააგზავნის თავის თანამშრომლებს უმაღლესი სასწავლებლის ტრეინინგებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მიზნობრივ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით, თითოეულ მხარეს შეუძლია ცალმხრივად გააუქმოს იგი, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინებით.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ-"ის გენერალური დირექტორი

იორგ მათი[illegible]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი